

585
1988

ISSN 0203-2023



პროლეტარების

შველა

ქვეყნისა,

შვერდითი



საქართველოს

საბჭოთა

სოციალისტური

რესპუბლიკის

№ 1

5/585

1 9 8 8

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოსემა

თ ბ ი ლ ი ს ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები



№ 1 (570)

ინჟვარი

1988 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანუოფილება პირველი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ქალთა საბჭოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქმიანობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნისათვის აბაშის რაიონის სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ.

ბანუოფილება მეორე

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ანხ. გ. დ. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სავატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ს. ნიკოლაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ჭავჭავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. მ. ბალავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. გ. გენჭიჭიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. პ. იმნაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მედიკოსის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
13. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ვ. სუხიშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
14. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

განყოფილება პირველი

საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საპარტვილოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შემახინს შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 58-ე და 59-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 58. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენება სულით ავადმყოფების მიმართ

იმ პირების მიმართ, რომლებმაც შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ან ასეთი ქმედობა ჩაიდინეს შეურაცხად მდგომარეობაში, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე ან სასჯელის მოხდის დროს სულით დაავადდნენ, რის გამოც არ შესწევთ უნარი ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებას ან უხელმძღვანელონ მას, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის შემდეგი იძულებითი ღონისძიებანი, რომლებსაც განახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო დაწესებულებები:

1) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ჩვეულებრივი მეთვალყურეობით;

2) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება გაძლიერებული მეთვალყურეობით;

3) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება მკაცრი მეთვალყურეობით.

მუხლი 59. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ჩვეულებრივი მეთვალყურეობით სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს იმ სულით ავადმყოფის მიმართ, რომელიც ფსიქიკური მდგომარეობისა და ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ხასიათის მიხედვით საჭიროებს საავადმყოფოში მოთავსებას და იძულებით მკურნალობას.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება გაძლიერებული მეთვალყურეობით სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს იმ სულით ავადმყოფის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რაც დაკავშირებული არ არის მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფასთან, და რომელიც თავისი ფსიქიკური მდგომარეობით საფრთხეს არ უქმნის გარშემო მყოფთ, მაგრამ საჭიროებს საავადმყოფოში მოთავსებასა და მკურნალობას გაძლიერებული მეთვალყურეობის პირობებში.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება მკაცრი მეთვალყურეობით სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს იმ სულით ავადმყოფის მიმართ, რომელიც

18920

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ავადმყოფთა

ფსიქიკური მდგომარეობისა და ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ხასიათის მიხედვით განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და საჭიროებს საავადმყოფოში მოთავსებასა და მკურნალობას მკაცრი მეთვალყურეობის პირობებში.

გაძლიერებული და მკაცრი მეთვალყურეობით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებულ პირებს ისეთ პირობებში ამყოფებენ, რაც გამორიცხავს მათ მიერ ახალი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის შესაძლებლობას“.

2. ამოღებულ იქნეს მე-60 და 62-ე მუხლები.

3. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 133² მუხლი:

„**მუხლი 133²**. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსება

წინასწარი შეცნობით ფსიქიკურად ჯანმრთელი პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ერთიდან სამ წლამდე ან უამისოდ“.

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისწლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11) 334-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „იმ სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგენით, რომელშიც მოთავსებულია მოცემული პირი“ შეიცვალოს სიტყვებით „იმ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მთავარი ფსიქიატრის წარდგენით, რომელსაც ექვემდებარება სამედიცინო დაწესებულება, სადაც მოთავსებულია მოცემული პირი“.

III. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1988 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 15 იანვარი.

№ 1570—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთო-ბასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის კომისიის წევრებად

ამხ. ამხ. ილია კუყურის ძე გვარამიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ადმინისტრაციული ორგანოების საკითხთა ჯგუფის უფროსი რეფერენტი (კომისიის მდივანი), ირაკლი ათინოვების ძე მენაღარიშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი და ნუგზარ ხეთისოს ძე შოშიაშვილი — საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე.

განთავისუფლდნენ ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან ამხ. ამხ. ირაკლი მიხეილის ძე საყვარელიძე და ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 19 იანვარი.

№ 1571—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

3 საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 20 იანვარი.

№ 1573—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

4 საქართველოს სსრ ქალთა საბჭოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ქალთა საბჭოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 26 იანვარი.

№ 1576—XI

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ქალთა საბჭოების შესახებ

1. ქალთა საბჭოები მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებია და კომუნისტური აღმშენებლობის ინტერესებისათვის აერთიანებენ ყველა საბჭოთა ქალს მათი ასაკის, ეროვნების, საზოგადოებრივი და ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად. ქალთა საბჭოები სარგებლობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლებით, მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პოლიტიკანყოფილებებთან მჭიდრო კონტაქტში.

2. ქალთა საბჭოები:

ჩააბამენ ქალებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, ხელს უწყობენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეების მართვაში მათი როლის ამძღვრებას, ზრდიან ქალებს საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომის ტრადიციებზე, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, მალაღი მოქალაქეობრიობისა და სოციალური აქტივობის სულისკვეთებით.

ქალებს ინიციატივასა და შემოქმედებით ენერგიაზე, მათ მზრუნველობასა და გულისხმიერებაზე, გერგილიანობასა და დისციპლინიანობაზე დაყრდნობით, ამ თვისებების განმტკიცებითა და გაძლიერებით ხელს უწყობენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, გარდაქმნას საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, ცხოვრების სოციალისტური წესის დამკვიდრებას;

ჩააბამენ საბჭოთა ქალებს მშვიდობისათვის ბრძოლაში, ქალთა ომისაწინააღმდეგო და დემოკრატიულ მოძრაობაში, მონაწილეობენ საერთაშორისო სოლიდარობის კამპანიებში;

აქტიურად უწყობენ ხელს ქალების მიერ დედის და საოჯახო მოვალეობების წარმატებით შესრულებას, ზრუნავენ ოჯახის განმტკიცებაზე, მასში მალალი ზნეობისა და ურთიერთპატივისცემის ვითარების შექმნაზე, ეხმარებიან მრავალშვილიან დედებს, ახლად დაქორწინებულებს, ინტერნაციონალური, მოქალაქეობრივი და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას დაღუპულთა ოჯახებს, დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, შრომის ვეტერანებს, მარტოხელა დედებსა და ღრმად მოხუცებს, შეფობენ საბავშვო სახლებსა და ძნელად აღსაზრდელ მოზარდებს, მუშაობენ არაკეთილსაიმედო ოჯახებთან, პროპაგანდას უწყევენ ოჯახში აღზრდის საუკეთესო გამოცდილებას;

მონაწილეობენ ქალებისა და მათი ოჯახების წევრების შინაარსიანი ცვლილებების ორგანიზაციაში, ახალი წეს-ჩვეულებების, ტრადიციების დამკვიდრებაში, ჩაბამენ ქალებს ხალხური შემოქმედების, მხატვრული თვითმოქმედების წრეებში და კლუბებში ინტერესების გათვალისწინებით, ფიზკულტურასა და სპორტში, ტერიტორიის კეთილმოწყობასა და გამწვანებაში, შეასწავლიან ქალებს საოჯახო მეურნეობის გაძღოლას, მათ ძალისხმევას ახმარენ ჯანმრთელი, კულტურული ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციას, მოსახლეობის საბინაო-კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებას;

მონაწილეობენ კანონების, დადგენილებების პროექტების, კოლექტიური ხელშეკრულებების შესაბამისი ნაწილების და სხვა იმ დოკუმენტების განხილვაში, რომლებიც ქალების ინტერესებს შეეხება, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოებთან ერთად კონტროლს უწყვენ საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების მდგომარეობის საკითხებზე კანონმდებლობის შესრულებას, მათი შრომისა და ჯანმრთელობის, დედისა და ბავშვის დაცვას, ზრუნავენ ქალებისათვის ნაყოფიერი შრომის, საზოგადოებრივი საქმიანობის, სწავლისა და დასვენების პირობების შესაქმნელად;

ხელს უწყობენ დაუსაქმებელი ქალების ჩაბმას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მათ პროფესიულ მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ჩაბამენ ქალებს სოციალისტურ შეკვრებებში, სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებაში, წარმოების მართვაში;

ებრძვიან უცხო იდეოლოგიისა და მორალის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლენებს, რელიგიურ ცრურწმენებს, სხვის მოიმიედობას და გულგრილობას, ლოთობასა და ნარკომანიას, სხვა ნეგატიურ მოვლენებს, აქტიურად ილაშქრებენ საბჭოთა ქალის პატივისა და ღირსების ხელმყოფ მოქმედებათა წინააღმდეგ.

3. ქალთა საბჭოები იქმნება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით. ძირითად უჯრედს წარმოადგენენ შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალთა საბჭოები.

შრომითი კოლექტივების ქალთა საბჭოები წარმოადგენენ შრომითი კოლექტივის ყველა ქალს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სპეციალისტებს, მოსამსახურეებს და იქმნებიან მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, აგრეთვე სამხედრო ნაწილებში. ისინი შეიძლება შეიქმნას საწარმოებისა და ორგანიზაციების სტრუქტურულ ქვედანაყოფებშიც.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალთა საბჭოები იქმნებიან საბინაო მეურნეობის სამსახურებში, მიკრორაიონებში, კვარტალებში, სოფლებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში. ისინი წარმოადგენენ შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ქალს. მათ საქმიანობაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებულ სასწავლებლებში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, საბინაო-საექსპლუა-

ტაციო, სავაჭრო, სპორტულ დაწესებულებებში, სამართალდამცველ ებში მომუშავე ქალებმა, შეფი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალთა საბჭოები მუშაობენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან, საბჭოების ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივ კომისიებთან, დეპუტატთა ჯგუფებთან მჭიდრო კონტაქტში.

4. შრომითი კოლექტივების და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალთა საბჭოებს ირჩევენ ღია კენჭისყრით ქალთა კრებებსა და კონფერენციებზე 2-3 წლის ვადით. არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმების უმრავლესობა. დასაშვებია ქალთა საბჭოების არჩევა წარმომადგენელთა დელეგირების პრინციპით: შრომით კოლექტივებში — საწარმოთა და ორგანიზაციათა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით; საცხოვრებელ ადგილას — საბინაო მეურნეობის სამსახურების, საბინაო და ქუჩის კომიტეტების, აგრეთვე ასარჩევი ქალთა საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით; საბჭოების რიცხობრივ შემადგენლობას და სტრუქტურას განსაზღვრავს კრება ან კონფერენცია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

თავისი ამოცანების შესასრულებლად ფართო აქტივის ჩაბმის მიზნით ქალთა საბჭოებს შეუძლიათ შექმნან სექციები და კომისიები მუშაობის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით.

ქალთა საბჭოების წევრების რიცხვიდან ირჩევენ თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანს, აგრეთვე სექციების (კომისიების) ხელმძღვანელებს.

5. საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭო, აფხაზეთისა და აჭარის ქალთა რესპუბლიკური საბჭოები, ქალთა საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოები, როგორც წესი, იქმნება ქვემდგომი საბჭოების წარმომადგენელთა დელეგირების პრინციპით: ქალთა რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოები — 2-3 წლით, ქალთა რესპუბლიკური საბჭო — 5 წლით. ქალთა საბჭოების არჩევნები შეიძლება ჩატარდეს კონფერენციებზე ღია კენჭისყრით. საბჭოების რიცხობრივი შემადგენლობა და სტრუქტურა განისაზღვრება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს უმაღლესი ორგანოა ქალთა რესპუბლიკური ყრილობა, რომელსაც იწვევენ ხუთ წელიწადში ერთხელ. ქალთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმს იწვევენ წელიწადში ერთხელ მაინც.

ქალთა რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოები ირჩევენ პრეზიდიუმს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, მდივნის, მუშაობის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით კომისიების თავმჯდომარეებისა და პრეზიდიუმის წევრების შემადგენლობით.

6. შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალთა საბჭოები, აგრეთვე ქალთა რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოები გაერთიანებული არიან ერთიან სისტემაში, რომლის მეთაურია საბჭოთა ქალების კომიტეტი. ქალთა შემდგომი საბჭოები ახორციელებენ

ქალთა საბჭოების ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას, სწავლობენ, განაზოგადებენ და ავრცელებენ მუშაობის დადებით გამოცდილებას, უწყვენ მათ პრაქტიკულ დახმარებას. ქალთა საბჭოების სისტემის უმაღლესი ორგანოა ქალების სრულიად საქავშირო კონფერენცია, რომელსაც მოიწვევს საბჭოთა ქალების კომიტეტი ხუთ წელიწადში ერთხელ.

7. ქალთა საბჭოები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ქალთა საზოგადოებრიობის შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითშემოქმედების საფუძველზე. ქალების მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად. ისინი თვითონ განსაზღვრავენ თავიანთი საქმიანობის ამოცანებს ადგილობრივი პირობების, ტრადიციების, აგრეთვე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით. თვითონ დაადგინენ თავიანთი მუშაობის წესს. საბჭოები მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ რეგულარულად აბარებენ ანგარიშს ქალებს.

8. ქალთა საბჭოებს უფლება აქვთ:

მოიწვიონ ქალთა კრებები და კონფერენციები, მოაწყონ აქტივის სემინარები, ჩაატარონ ლექციები, მოხსენებები, ექსკურსიები და სხვა კოლექტიური ღონისძიებანი, მონაწილეობა მიიღონ მშობელთა უნივერსიტეტების, ქალთა და ახალგაზრდა ოჯახების კლუბების შექმნაში, გამოიჩინონ ინიციატივა შრომით კოლექტივებში და საცნობარებელი ადგილის მიხედვით სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეთა ორგანიზაციაში;

შეიტანონ საბჭოთა, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანოებში წინადადებები ქალთა საბჭოების კომპეტენციის საკითხებზე;

მონაწილეობა მიიღონ შრომის პირობების გაუმჯობესების, მისი დაცვის და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გეგმების შემუშავებაში, სოციალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების, კულტურულ-აღმზრდელობითი და მასობრივ-სპორტული მუშაობისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების წარმართვის დაგეგმვაში, საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილების, ბავშვთა სანატორიუმების და პიონერთა ბანაკების საგზურების აღრიცხვასა და განაწილებაში, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ კონტროლი შესაბამის ღონისძიებათა შესრულებისა და აღნიშნული სახსრების სწორად ხარჯვისადმი, შრომითი კოლექტივების საერთო კრებების (კონფერენციების) განსახილველად შეიტანონ ქალთა საკითხები;

საბჭოთა, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების დავალებით და თავისი ინიციატივით შეამოწმონ მოსახლეობის მომსახურების საკითხებზე სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საყოფაცხოვრებო სამსახურების მუშაობა. ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში მიმართონ შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებს მოთხოვნით ზომების მიღების შესახებ. თავიანთ სხდომებზე საკითხების ერთობლივად განხილვისათვის მოიწვიონ მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები;

კოორდინაცია გაუწიონ ქალთა შორის მუშაობისათვის შექმნილი საზოგადოებრივი ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობას;

განიხილონ ქალების ზეპირი და წერილობითი განცხადებები და საჩივრები, შეიტანონ წინადადებები შესაბამისი ზომების შესახებ;

რეკომენდაცია გაუწიონ საზოგადოებრივ საქმიანობაში თავგამოჩენილი ქალების დაწინაურებას საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანოებში, სამეურნეო სამუშაოებზე, შეიტანონ წინადადებები ქალთა აქტივის წახალისების შესახებ;

გამოვიდნენ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით ქალთა საბჭოების საქმიანობის საკითხებზე და სხვა იმ პრობლემებზე, რომლებიც ქალთა ინტერესებს შეეხება.

9. ქალთა საბჭოების ფულად სახსრებს შეადგენენ საგამომცემლო საქმიანობის შემოსავალი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სსრ კავშირის ცალკეული მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანები, აგრეთვე შემოსავალი ქალთა საბჭოების მიერ ჩატარებული შაბათობებიდან, კონცერტებიდან და სხვა ღონისძიებებიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

5 სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის კლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ სახმარაგოების სტილისა და მეთოდების გარდაქმნისათვის აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გაშრობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომელმაც მოისმინა აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. კუციას ინფორმაცია, აღნიშნავს, რომ რაიონის ადგილობრივი საბჭოები ახლა უფრო მეტ მუშაობას ეწევიან თავიანთი საქმიანობის გარდასაქმნელად, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ასევე მეტი ყურადღება ეთმობა მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას.

უმჯობესდება სახალხო დეპუტატთა აბაშის რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის ორგანიზატორული მუშაობა, მაღლდება სესიების, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომების მომზადება-ჩატარების დონე, საქმიანად იხილება სამეურნეო მშენებლობის საკითხები, კონკრეტული და მიზანმიმართული ხდება მიღებული გადაწყვეტილებები. პრაქტიკაში მკვიდრდება რაიონული საბჭოს გამსვლელი სესიებისა და აღმასკომის გამსვლელი სხდომების ჩატარება. მიმდინარეობს მუშაობა ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა სწავლების სრულყოფისათვის.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი ორგანოების მუშაობის სტილსა და მეთოდებში არ მომხდარა მკვეთრი დადებითი ძვრები; ისინი სუსტად იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის, სათანადოდ არ აკონტროლებენ საბჭოთა ორგანოების საქმიანობის გარდასაქმნელად შემუშავებულ პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმების განხორციელებას.

აბაშის საქალაქო, სუკუნის, მარნის, პირველი მაისის, ძველი აბაშის, გეზათისა და სხვა სასოფლო საბჭოების სასესიო საქმიანობას მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს. საჭირო ყურადღება არ ექცევა საჯაროობას, გადაწყვეტილებათა პროექტების წინასწარ განხილვას შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კვებებზე, რაც გარკვეულად გამოარტყხავს საზოგადოებრივი აზრის ვითარების წინსვლის შესაძლებლობას. ხშირად სესიებზე წარმოდგენილი მოხსენებები და თანამოსხენებები საქმიან, კრიტიკულ ტონს არ აძლევენ საკითხთა განხილვას, ვერ იწვევენ დეპუტატთა აქტიურობას. დეპუტატები განსახილველ საკითხებზე კი არ მსჯელობენ, არამედ უპირატესად თავიანთ სამეურნეო საქმიანობაზე ლაპარაკობენ. იშვიათთა სადეპუტატო მოვალეობათა შესრულების თაობაზე ინფორმაციების მოსმენა სესიებზე, მუდმივ კომისიებში. ნაკლებია კრიტიკა, განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან. რაიონის ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფების ერთი ნაწილი არ მონაწილეობს საბჭოების, მათი ორგანოების საქმიანობაში.

არსებითი ხარვეზებია რაიონის ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობაში. კეთილარის, ზანათის, პირველი მაისის, გეზათის, სამიქაოს, ონტოფოსა და სხვა სასოფლო საბჭოებში იშვიათი როდია კომისიების სხდომების ვადების დარღვევის, მათი მოუშვადებლად ჩატარების ფაქტები. ზოგიერთი მუდმივი კომისია უმოქმედოა, არაერთარ ზეგავლენას არ ახდენს სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგში საქმის მდგომარეობაზე; სუსტია მათი ანალიზური და საკონტროლო საქმიანობა, კავშირი სახალხო კონტროლისა და რაიონის მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან.

საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად არ შეიცავს საქმის ღრმა ანალიზს, არ სახავს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის რეალურ გზებს, მიზანმიმართული მუშაობა არ მიმდინარეობს დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხების დაყენების პრაქტიკის სრულყოფისათვის, ამომრჩეველთა განაწესების, მოქალაქეთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების სარეალიზაციოდ. კვლავ ფორმალურია კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი.

აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში განსახილველ საკითხთა რაოდენობრივი ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა. თუ შარშან აღმასკომმა სულ 259 საკითხზე იმსჯელა, წელს მარტო 11 თვეში 285 საკითხი განიხილა, რომელთა მომზადებაში დეპუტატთა მცირე რიცხვი მონაწილეობ-

და. იმის გამო, რომ სასოფლო საბჭოების აღმასკომებში უყურადღებოდ ეკიდებიან მშრომელთა იმ მოთხოვნებს, რომლებიც ადგილზე უნდა გადაწყდეს, შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მთხოვნელთა რიცხვი რაიონული საბჭოს აღმასკომში.

რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი ორგანოები არ იყენებენ თავიანთი საქმიანობის გარდაქმნის ყველა შესაძლებლობას, სათანადოდ არ ზრუნავენ იმისათვის, რომ შრომითი კოლექტივები უზრუნველყოფდნენ სახელმწიფო გეგმის უთუო შესრულებას. მაგალითად, პროდუქციის რეალიზაციის 1987 წლის 11 თვის გეგმა ვერ შეასრულა სამრეწველო საწარმოთა 22 პროცენტმა.

მიუხედავად იმისა, რომ აბაშის რაიონი ერთ-ერთი ინიციატორია სოფლის მეურნეობაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების სისტემის ჩამოყალიბებისა, დღეისათვის რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვაშიც კი ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და ნაკლოვანებაა. ნელა იზრდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. რაიონმა ვერ შეასრულა საგეგმო დავალებები ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით. ჯერ კიდევ დაბალია რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა.

მიუხედავად განხორციელებული ზოგიერთი ღონისძიებისა (დებიტორული დავალიანების საგრძნობი შემცირება, ბანკის სესხის გარკვეული რაოდენობით დაფარვა), განსაკუთრებით არასასურველი ტენდენციები იკვეთება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში, სადაც 1987 წელს რენტაბელობის დონემ დაგეგმილი 16,9 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 5,9 პროცენტი შეადგინა და რომ არა სახელმწიფო ფასდანიშნები, რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები ზარალით (13,7 პროცენტი) დაამთავრებდნენ სამეურნეო წელს. ჯერ კიდევ დიდია არგადახდები: 1988 წლის 1 იანვრისათვის ისინი ერთ მილიონ მანეთს აღემატებოდა. ნაცვლად 2.537 ათასი მანეთისა მიღებულია 1.374 ათასი მანეთის მოგება.

კვლავ მცირეა სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების რიცხვი და იგი რაიონში მხოლოდ 73 ერთეულს შეადგენს. ასევე ნელა იზრდება საოჯახო იჯარა. ცოტაა ინდივიდუალური და კოლექტიური კოოპერატივები. რაიონში სულ შექმნილია 20 კოოპერატივი, რომელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ სამი მოქმედებს. საოჯახო იჯარას კი მისდევს 51 მეურნე.

ბევრი ხარვეზია მოსახლეობის სავაჭრო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. რაიონის ყველა დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილი არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურებით. მცირეძალოვანია ქიმწმენდისა და რეცვის ობიექტები და ვერ უპასუხებენ რაიონის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამასთან მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად თითქმის არ იყენებენ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებს. ჯეროვანი ღონისძიებები არ ტარდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გარდაქმნა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს.

2. აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა:

— სათანადო დასკვნები გამოიტანონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის იანვრის პლენუმზე რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოების მიმართ გამოთქმული მითითებებიდან, ღრმად და თვითკრიტიკულად გააანალიზონ თავიანთი საქმიანობის სტილი და მეთოდები, განანოცეილონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი; წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყონ რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპი;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, სისტემატურად სრულყონ სესიების, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების მომზადება-ჩატარების პრაქტიკა, გადაწყვეტილებათა პროექტების წინასწარ განხილვა შრომით კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— ყურადღების ცენტრში იქონიონ რეგიონის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები, კრიტიკულად შეაფასონ მართვის ორგანოების მუშაობა, რაიონის ცალკეულ მეურნეობებში არსებული მდგომარეობა, რეგულარულად მოისმინონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციები ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

— უფრო შინაარსიანი და საგნობრივი გახადონ მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობა, უზრუნველყონ მათი ფართოდ ჩაბმა სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, გააძლიერონ კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებების, დეპუტატთა მიერ სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციისადმი;

— აამაღლონ დეპუტატთა როლი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში, სისტემატურად მიაწოდონ მათ ინფორმაცია საბჭოებისა და მათი ორგანოების საქმიანობის, სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების, ამომჩიველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ;

— ყოველმხრივ განავითარონ საჯაროობა, სისტემატურად გააცნონ შრომით კოლექტივებს და მოსახლეობას საბჭოებისა და მართვის ორგანოების საქმიანობა, მიღებული გადაწყვეტილებების და დაყენებული საკითხების რეალიზაციის მიმდინარეობა;

— დარაზმონ შრომითი კოლექტივები რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების უთუო შესრულებისათვის, უზრუნველყონ მათ-



სახურების სფეროს ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და მათი გამართული მუშაობა;

— თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცეონ სამეურნეო-მმართველობითი თუ სოციალურ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას; მიიღწიონ ისეთი ვითარების შექმნას, რომ თითოეული თავის სამუშაო უბანზე შტკიცედ იცავდეს როგორც კანონის მოთხოვნებს, ასევე სოციალისტური თანაცხოვრების წესებს.

3. დაევალოს აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. ა. ქობალავა) უზრუნველყოს ყველა იმ შესაძლებლობის უფრო ეფექტიანად გამოყენება, რომლებიც საბჭოებს ეძლევათ „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილებით.

4. აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1988 წლის დეკემბერში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 28 იანვარი.

№ 1580—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

6 ახს. გ. დ. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო-პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს კ. დ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გიორგი დავი-

თის ძე იოსელიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 იანვარი.

№ 1561—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

7 ამხ. ზ. ნ. კახიანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო-პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის გადაუდებელი ქირურგიის კათედრის გამგე პროფესორი ზაალ ნიკოლოზის ძე კახიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 იანვარი.

№ 1559—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

8 ამხ. მ. ს. ნიკოლაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მერაბ სერგოს ძე ნიკოლაიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 იანვარი.

№ 1562—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

9 ახს. ვ. ზ. ქავთარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო-პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს მ. დ. წინამძღვრის შვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ვახტანგ გიორგის ძე ქავთარაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 იანვარი.

№ 1560—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

10 ახს. ვ. მ. ბალავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ახს. ვახტანგ მიხეილის ძე ბალავაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 15 იანვარი.

№ 1568—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

11 ახს. ე. ვ. გენძიხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ელუარდ ვახტანგის ძე გენძეხაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 15 იანვარი.
№ 1567—XI

18.920

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

12 ამხ. ნ. პ. იმნაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მედიორატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მედიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ტრესტ „მტკვარწყალშენის“ მმართველს ამხ. ნუგზარ პოლიაქტორის ძე იმნაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული მედიორატორის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 იანვარი.
№ 1564—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

13 ამხ. ე. ვ. სუხიშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კლიმატოლოგიისა და აეროლოგიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ამხ. ეთერ ვასილის ასულ სუხიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 იანვარი.
№ 1565—XI

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

14 ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მიწიჭების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭეთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“

აკაკი სიმონის ძე მეიფარიანს — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის უფროს მასწავლებელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს.

„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი“

თამარ კონსტანტინეს ასულ ვაშაქიძეს — სპორტული საზოგადოება „დინამოს“ სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერის მედიკოსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. კპარაძეძე.

თბილისი, 1988 წლის 15 იანვარი.

№ 1569—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1988 წლის 28 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის იანვრის პლენუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ და შესაბამისად კორექტივები იქნა შეტანილი 1988 წლის პირველი ნახევრისათვის დასახულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ღონისძიებათა გეგმაში.

მიღებულ იქნა ცნობად ინფორმაცია 1987 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის საქმიანობის შესახებ.

•
•

სხდომამ მოისმინა ლენტეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ანხ. შ. ლიპარტელიანის ინფორმაცია სკკპ XXVII

ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად სასესიო საქმიანობის სრულყოფისათვის ლენტეხის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ რაიონის ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით გარკვეულ მუშაობას ეწევიან სასესიო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე მისი ზეგავლენის გასაძლიერებლად. მაგრამ რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად ჯერ კიდევ ვერ გახდა საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი; ისინი სრულად და თანამიმდევრულად ვერ იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანების გადასაწყვეტად, მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად, მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის.

რაიონში ძალზე დაბალია ხორცის, რძის, სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები. მეცხოველეობის ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში მსხვილფეხა პირუტყვის ერთი ცენტნერი ხორცის თვითღირებულება, გეგმურთან შედარებით, გადიდებულია 51 მანეთით, ღორის ხორცისა — 18 მანეთით, რძისა — 3 მანეთით. საბჭოთა მეურნეობებს ერიცხებათ 3,8 მილიონი მანეთის სახელმწიფო ბანკის სესხის დავალიანება. დიდი გარღვევებია სასურსათო პროგრამის შესრულების საქმეშიც. რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველყოფა საკუთარი წარმოების საქონლის ხორცით შეადგენს 72 პროცენტს; რძით — 86 პროცენტს, მარცვლეულით — 30 პროცენტს, ხილით — 23 პროცენტს, კვერცხით — 51 პროცენტს, კარტოფილით — 45 პროცენტს. სამრეწველო ორგანიზაციების მიერ 1987 წელს ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქცია რესპუბლიკურ მაჩვენებელზე 5-ჯერ დაბალია. ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა სოციალური საკითხების გადაწყვეტას, კერძოდ, მეთერთმეტე ხუთწლიდის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა მხოლოდ 73,4 პროცენტითაა რეალიზებული. საყოფაცხოვრებო მომსახურების დაგეგმილი 12 სახეობიდან არც ერთში არ იქნა შესრულებული საგეგმო დავალებები. ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების გეგმამ ნაცვლად 11,25-ისა, 5,7 მანეთი შეადგინა, რაც საშუალორესპუბლიკურზე 8-ჯერ ნაკლებია. სავაჭრო მომსახურების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 83,7 პროცენტით; საკასო გეგმის შესრულებას დააკლდა 916 ათასი მანეთი.

რაიონში ნელა ინერგება ეკონომიკური მართვის ახალი ფორმები და მეთოდები.

ადგილობრივი საბჭოები სათანადოდ არ აფასებენ სასესიო მუშაობას, როგორც საქვეუწყებო ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ძირითად ორგანიზაციულ-მასობრივ ფორმას, საჭირო ყურადღებას არ უთმობენ სესიების მომზადებასა და ჩატარებას. მათზე სათანადო შეფასება არ ეძლევა ცალკეული საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წარმოებისა და რეალი-



ზაციის გეგმების შეუსრულებლობის ფაქტებს, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმების დანერგვისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

ჩიხარეშის, ცანის, ხოფურის სასოფლო საბჭოებს ერთხელაც არ მოუსმენიათ სესიებზე მათს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები; მაშინაც კი, როდესაც ამ უკანასკნელთა საქმიანობაში სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები შეინიშნებოდა.

რაიონში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის წინაშე საბჭოების, მათი აღმასკომების, სხვადასხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელების დეპუტატების ანგარიშების მწყობრი სისტემა.

სესიების მომზადებისას ადგილობრივი საბჭოები იშვიათად მიმართავენ შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობას თხოვნით გამოთქვან თავიანთი აზრა, წინადადებები განსახილველ საკითხებზე. ლენტეხის სადაბო, ჩოლურის, ჯახუნდრის და ზოგიერთი სხვა სასოფლო საბჭოები მათს მომზადება-ჩატარებაში სათანადოდ არ აბამენ დეპუტატებს, მუდმივ კომისიებს. საჭირო ყურადღება არ ეთმობა სესიებზე დეპუტატების დასწრებას. კამათის მონაწილენი საქმიანად არ მსჯელობენ დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებულ ძირეულ პრობლემებზე. ეს იმიტაც აჩხნება, რომ რაიონში სუსტად მუშაობენ სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების სარეალიზაციოდ. უფრო მეტიც, ლენტეხის რაიონულ, სადაბო და რიგ სასოფლო საბჭოებში საერთოდ არ წარმოებს კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ცალკე აღრიცხვა, არ იხილავენ მათ აღმასკომების სხდომებზე და არ აწესებენ კონტროლს შესრულებისადმი.

არსებითი ნაკლოვანებებია რაიონის ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებათა მომზადებაში, მათს განხილვასა და მიღებაში. ბევრი გადაწყვეტილება არაკონკრეტულია, შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით, არ განსაზღვრავს დასახულ ღონისძიებათა შესრულების ვადებსა და შემსრულებლებს. გადაწყვეტილებები სესიებზე მტკიცდება დეპუტატთა მიერ გამოთქმული საქმიანი წინადადებების გაუთვალისწინებლად, ტექსტი არ არის დახვეწილი.

სუსტია მუშაობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციისათვის, მათში ნაკლებად არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები. რაიონის საბჭოების უმეტესობა რეგულარულად არ აწვდის დეპუტატებს ინფორმაციას მიღებული გადაწყვეტილებების, მათი კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების, სესიებს შორის აღმასკომების საქმიანობის შესახებ.

არასაკმარისად გამოიყენება კონტროლის ისეთი მნიშვნელოვანი და ქმედითი ფორმა, როგორცაა დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება; მათი რიცხვი ერთობ მცირეა და ისინიც იშვიათად ფორმდება გადაწყვე-



ტილების სახით, რაც სათანადო ასახვას პოულობს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის გეგმებში.

რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ცუდად ასრულებენ ლენტეხის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მიღებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტროს საბჭოს დადგენილებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ლენტეხის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობა სასესიო საქმიანობის სრულყოფისათვის ჯერ კიდევ არ უპასუხებს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს და სათანადო დავალება მისცა რაიონის ადგილობრივ საბჭოებსა და რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.



მოისმინა რა ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ანხ. ჯ. მარუაშვილის ინფორმაცია სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდამცველი ორგანოების დონისძიებანი, რომლებიც მათ მიერ რაიონში სოციალისტური საკუთრების ჯეროვნად დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად ტარდება, სრულად ვერ უპასუხებს დადგენილების მოთხოვნებს, გარდაქმნის სულისკვეთებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მიიღოს გადაუდებელი ზომები აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებების აღსაკვეთად; უზრუნველყოს ქვემდგომი საბჭოების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელის აქტიური მონაწილეობა იმ მიზნებისა და პირობების გამოვლენა-აღმოფხვრაში, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალისტური საკუთრების დატაცებას, უყაირათობას, მფლანგველობას, მატერიალურ ფასეულობათა დაკარგვასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალოთ რეგულარულად შეისწავლონ და განაზოგადონ სოციალისტური საკუთრების სათანადოდ დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად ადგილებზე გაწეული მუშაობის პრაქტიკა, თითოეულ შრომითს კოლექტივში დაამყარონ უმკაცრესი სახელმწიფო წესრიგი მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში, შენახვასა და რაციონალურად გამოყენებაში; ყველგან შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება სახალხო დოვლათის დამტაცებელთა მიმართ; განსაკუთრებული ყურადღება



დაუთმონ ამ საქმეში მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, საზოგადოებრივი ფორმირებების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას.

*
* * *

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხები: სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქმიანობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნისათვის აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ; სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებსა და შრომითს კოლექტივებში „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების შესახებ დაჯილდოების განყოფილების მოხსენებითი ბარათის თაობაზე; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის, პრეზიდიუმის სხდომათა ოქმებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების გამოცემის 1988 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ და სხვ. განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი
კომისიების სხდომაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისია, რომელმაც განიხილა საკითხი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოებში დასაქმებულ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის თაობაზე, აღნიშნავს, რომ ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და წულუკიძის ტერიტორიაზე განლაგებული ქიმიური მრეწველობის საწარმოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მომუშავე ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

ამასთან ერთად აღნიშნული ქალაქების საწარმოებს ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვთ ამ მიმართულებით. კვლავ ნელა ინერგება შრომის დაცვის პროგრესული ფორმები. ხელით შრომის მაჩვენებელი მაღალია ქ. რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოსა“ (31,4 პროცენტი) და ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში (32,3 პროცენტი). საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტინერის“ საამქროებში ქალებს მუშაობა უხდებათ მაღალი ტემპერატურის პირობებში. ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ლითოფონისა და ბარიუმის საამქროებში მათი 38 პროცენტი მუშაობს ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში. ანალოგიური მდგომარეობაა საწარმოო გაერთიანებების „თეთრონისა“ და „აზოტის“ ბევრ უბანზე. თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ საწარმოში არაეფექტიანად მუშაობს სპეციალური სისტემები, დარღვეულია მოწყობი-

ლობის ჰერმეტიზაცია. „თეთრონსა“ და „საქპოლიმერკონტეინერში“ არასდროს მარისია სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების რაოდენობა. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ უპასუხებს ქუთაისის ლითოფონის ქარხნის სასადილო, ქარხანას არა აქვს სპეცტანსაცმლის ქიმიკატის პუნქტი. საექსპლუატაციოდ არ გადაცემულა ქიმიკატის პუნქტი საწარმოო გაერთიანება „ქიმიბოქოსში“.

ირღვევა კანონმდებლობის მოთხოვნა ქალთა პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმების შესახებ წულუკიძის „პოლიმერკონტეინერის“ ქარხანაში; აქ 39 პროცენტით არის ათვისებული დედათა და ბავშვთა მომსახურებისათვის გათვალისწინებული სახსრები.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სხვ. საგზურებით ქალთა უზრუნველყოფის საქმეშიც.

არ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 21 ივნისის დადგენილების მოთხოვნები, რომელიც რვა წლამდე ასაკის ბავშვიან ქალებს უფლებას აძლევს გადამზადება გაიარონ და კვალიფიკაცია აიმაღლონ წარმოებისაგან მოწყვეტით, სწავლის დროისათვის საშუალოთექვიური ხელფასის შენარჩუნებით.

ნაკლები ყურადღება ეთმობა მეცნიერულ კვლევას ქალთა შრომის დაცვის დარგში, არ ტარდება კომპლექსური სამუშაოები ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

ბრაქტიკაში არ არის დანერგილი სოციოლოგიური გამოკვლევები.

ქიმიური მრეწველობის საწარმოებში ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის საქმეში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები იმითაა განპირობებული, რომ მათი ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ საკითხებს, ხოლო სახალხო დეპუტატთა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო და წულუკიძის, თბილისის ლენინისა და საქარხნო რაიონული საბჭოების აღმასკომები იშვიათად სწავლობენ და განიხილავენ აღნიშნულ საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისიამ სათანადო რჩევა მისცა საწარმოო გაერთიანებების „ქიმიბოქოს“, „თეთრონის“, „აზოტის“, „საქპოლიმერკონტეინერის“, ქუთაისის ლითოფონის და წულუკიძის „პოლიმერკონტეინერის“ ქარხნების ხელმძღვანელებს, სახალხო დეპუტატთა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო, წულუკიძის, თბილისის ლენინისა და საქარხნო რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიამ მოისმინა რა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება და რეს-



პუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის თანამოსხენება საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ვადების შესამცირებლად ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ, აღნიშნა, რომ ოლქში გარკვეული მუშაობა ტარდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების გადასაწყვეტად. იზრდება საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მოცულობა, წლიდან წლამდე ღიდადება ამ მიზნებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დახმებები, მწყობარში დგება ძირითადი ფონდები, იგება სკოლები, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებები, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

ამასთან ერთად სხდომაზე აღინიშნა, რომ ოლქში კაპიტალური მშენებლობა წარმოებს არაღამაკმაყოფილებლად, გენმოიჯარე სამუშაოთა 11 თვის საგეგმო დავალებანი შესრულებულია მხოლოდ 71,7 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული საერთო საცხოვრებელი ფართობის 59,5 პროცენტია საქსპლუატაციოდ გადაცემული. ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა თერთმეტ თვეში შესრულდა 23,6 პროცენტით.

ძირითადი მოიჯარე ორგანიზაცია — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტი თავს ვერ ართმევს დასახულ ამოცანებს, მან 11 თვის გეგმა მხოლოდ 49,8 პროცენტით შეასრულა. ჩაშლილია ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების 1987 წელს საქსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა, როგორცაა ცხინვალის ინფექციური სავადმყოფო და „რადიოს სახლი“, საექვთა, რომ საქსპლუატაციოდ გადაეცემა 280-ადგილიანი საბავშვო ბაღი და ა. შ.

ქ. ცხინვალში სოცკულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობას ხელს უშლის მშენებლობისათვის საჭირო ტერიტორიის უქონლობა. ამ საკითხის გადაწყვეტის შემდგომი გაკიანურების გამო არ ხერხდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად მომზადება და მშენებლობის გაგრძელება 1989-სა და მომდევნო წელს.

1987 წლისათვის კაპიტალური მშენებლობის მოცემულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და „საქმთავარმონტაჟსპეცმშენმა“ მიიღეს ერთობლივი დადგენილება და დაამტკიცეს ღონისძიებანი, ასამოქმედებელ ობიექტებზე გააპროექტეს პასუხისმგებელი მუშაკები.

მართალია, უკანასკნელ ხანს ოლქის ხელმძღვანელობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი კაპიტალურ მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ისინი არასაკმარისია.

საგეგმო დავალებათა რეალიზაციაში ჩამორჩენასთან ერთად, ყურადსაღებია შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ძალზე დაბალი ხარისხი და ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი შემსრულებელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ინფექციური საავადმყოფოს მშენებლობაზე რკინა-ბეტონის კარკასის მონტაჟი; სამუშაოების ძალზე უხარისხოდ შესრულების გამო შენობა სეისმურად საშიშ მდგომარეობაშია.

უკეთესი მდგომარეობა არ არის „რადიოს სახლის“ მშენებარე ობიექტზე, სადაც ყველა ელემენტი — ბეტონის, რკინა-ბეტონის, აგურის წყობა შესრულებულია სამშენებლო ნორმებისა და ტექნიკური პირობების ელემენტარული წესების დარღვევით. ასეთივე მდგომარეობაშია №№ 26, 27, 28 საცხოვრებელ-სამშენებლო კოოპერატივების სახლები; ცხინვალის საქალაქო კომუნალური მეურნეობის № 32 საცხოვრებელი სახლი, ზნაურის 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ლენინგორის 20-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და სხვ.

დაბალი ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის შედეგად ქვეითდება საექსპლუატაციო ობიექტების ხარისხი. მშენებლობებზე კადრების დიდი დენადობაა; სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს კვალიფიციური მუშებისა და ხელმძღვანელი კადრების ნაკლებობა. არ არის წარმოების კულტურა, თვალსაჩინო ავიტაცია, უსაფრთხოების ტექნიკის პლაკატები; კეთილმოწყობელი გათბობის და კვების ადგილები, გასახდელები და ჰიგიენის ოთახები.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო სათანადო ყურადღებას არ უთმობს და საკმაო მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას არ უწევს დაქვემდებარებულ № 11 ტრესტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიამ საჭირო რჩევა მისცა: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტის ხელმძღვანელობას, ოლქის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოსა და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს.

რესპუბლიკის სახმუნესა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს ერჩიათ გააძლიერონ ყურადღება მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების, ოლქის ობიექტებზე საპროექტო გადაწყვეტილებათა და სამუშაოთა წარმოების ტექნიკური პირობების დაცვის საკითხებისადმი.

*
*
*

რესპუბლიკის მთის რაიონების მოსახლეობის სათბობითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ საკითხის განხილვისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი მთის რაიონის მოსახლეობის სათბობით უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ხასიათის ხარვეზებია.

მიმდინარე წლის 15-20 ნოემბრისათვის ახალქალაქის რაიონს მიღებული არ ჰქონდა ფონდირებული 3840 ტონა ქვანახშირი, 596 ტონა ღუმელის საწვავი, 190 ტონა ნავთი, 100 კუბური მეტრი შუშა; ბოგდანოვკის რაიონს —



2473 ტონა ქვანახშირი, 300 ტონა ლუმელის საწვავი, 339 ტონა ნავთი, 256 კუბური მეტრი შეშა; ასპინძის რაიონს — 2390 ტონა ქვანახშირი, 61 ტონა ნავთი; დმანისის რაიონს — 1842 ტონა ქვანახშირი, 135 ტონა ნავთი, 200 კუბური მეტრი შეშა; წალკის რაიონს — 1237 ტონა ქვანახშირი, 120 კუბური მეტრი შეშა. მეტ-ნაკლებად ანალოგიური მდგომარეობაა თეთრი წყაროს, ჯავის, ადინგენის, ორჯონიკიძის რაიონებში.

მთის ზოგიერთი რაიონისათვის ფონდით გათვალისწინებული სათბობის მოცულობა ვერ უზრუნველყოფს რეალურ მოთხოვნილებას, ასე მაგალითად, ნახშირითა და შეშით ვერ კმაყოფილდება წალკის რაიონის მოსახლეობის მოთხოვნა, ლუმელის საწვავით, ნახშირით და შეშით — ლენინგორის რაიონისა. ასეთივე მდგომარეობაა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ონის, ასპინძის რაიონებში.

უგზობისა და სათანდო ტექნიკის უქონლობის გამო ფერხდება ცაგერის რაიონის მოსახლეობის შეშით მომარაგება. ონის რაიონში შეშის დამზადებას და მის ტრანსპორტირებას დროულად ვერ უზრუნველყოფს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.

სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ ოქტომბერში ჩატარებული შემოწმებებით სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა საწარმოებსა და ორგანიზაციებში შემოდგომა-ზამთრისათვის მზადების საქმეში. მთელ რიგ ობიექტებზე შეკეთებული არ იყო საქვაბეები, გათბობის შიდაქსელები, ზოგი ელექტროგაყვანილობა მოითხოვდა შეცვლას. ასეთი მდგომარეობა აღინიშნება ახალქალაქის, ასპინძის, ჯავის, დმანისის, ბოგდანოვკის და სხვა რაიონებში. შემოწმებამ გამოავლინა აგრეთვე ამბროლაურის, დმანისის, ორჯონიკიძის, ლუშეთის რაიონებში ელექტროენერჯიის არასტაბილურად ხარჯვის ფაქტები.

მთის რაიონების მოსახლეობის სათბობით მომარაგების საქმეში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანება „მომარაგება-გასაღება“, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტი, ცეკავშირი და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ იმ სამსახურებისადმი, რომლებიც ვალდებული არიან შეუფერხებლად მოამარგონ რაიონები სათბობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის კომისიამ რჩევა მისცა:

ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტებს და ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს — გააუმჯობესონ მთის რაიონების მოსახლეობის სათბობით და ელექტროენერჯით უზრუნველყოფის საქმე;

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიისა და მოსახლეობის სათბობით უზრუნველყოფის მიზნით ადგილებზე სათანადო ღონისძიებანი განახორციელონ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ნარჩენების ხარჯზე დეცენტრალიზებული სათბობის დამზადებისათვის;

შესაბამისი სამსახურების საშუალებით უზრუნველყონ სათბობის დროული შეზიდვა და დანიშნულებისამებრ განაწილება. მკაცრად დაიცვან სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვის რეჟიმი;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — სათბობი მასალების ლიმიტების განსაზღვრისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს მოსახლეობის მოთხოვნების უზრუნველყოფა არსებული ცენტრალიზებული ფონდებით.

კომისიამ მოითხოვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე დაისვას საკითხი სათბობი მასალების ყოველწლიური ფონდების განსაზღვრისას რესპუბლიკის განაცხადების გათვალისწინებისა და მათი დაკმაყოფილების უზრუნველყოფის თაობაზე.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. ახვლედიანის მოხსენება საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე საქართველოს სს რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ სავაჭრო ფონდების ღონისძიებებში მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობის ხუთწლიანი გეგმების შესაბამისად ჩვენი რესპუბლიკა 28-ჯერ იყო წარმოდგენილი სსრ კავშირის ექსპოზიციების შემადგენლობაში, მათ შორის 1987 წელს — ქ. ბარსელონაში.

რესპუბლიკის ექსპოზიციის შექმნაში რეგულარულად მონაწილეობს 100-ზე მეტი ორგანიზაცია, საწარმო და სამეცნიერო დაწესებულება, რომლებიც, როგორც წესი, სავაჭრო ფონდით წარმოადგენენ პოლიტიკური და პროპაგანდისტული დატვირთვის მქონე 2 ათასზე მეტ ექსპონატსა და სტენდს.

საქართველოს სსრ განყოფილებები და ექსპონატები არაერთგზის დაჯილდოვდა ბაზრობის კომიტეტების მედლებითა და დიპლომებით, აღინიშნა ელჩისა თუ საზღვარგარეთ სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მადლობით.

ამასთან სხდომაზე ითქვა, რომ წარმატებებთან ერთად საზღვარგარეთ სავაჭრო ფონდით მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს საგარეო ეკონომიკური კავშირისადმი გაზრდილ მოთხოვნებს. საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე რესპუბლიკის ექსპოზიციებში კვლავ საკმაო რაოდენობით გამოფენილია ტექნიკურად მოძველებული, დაბალი ხარისხის ნახელავი, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საქსპორტო ფონდებით, არ შეესატყვისება ამ მიმართულებას, რის გამოც ჩასატარებელ ღონისძიებათა კომერციული ეფექტიანობის დონე დაბალია, ეს კი უარყოფითად მოქმედებს უცხოეთის ფირმებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებებით განვითარებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე რესპუბლიკის მონაწილეობის საქმეში

საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რჩევა მისცა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატას.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის დარგებისათვის სპეციალისტთა მომზადების, განაწილებისა და გამოყენების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სენატორის უ. ბრედლის სტუმრად ყოფნა

8 იანვარს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი უილიამ ბრედლი, რომელიც საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით იმყოფებოდა. ამავე დღეს სენატორი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილმა. საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ლალიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ე. პრიმაკოვი, თ. გამყრელიძე და სხვა ოფიციალური პირნი.

9 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა უ. ბრედლის.

საქართველოში ყოფნისას უ. ბრედლიმ დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, კოლბერატიული ბარი „არგო“, გაერთიანება „თბილქე“, საზეიმო რიტუალების სასახლე, კინოს სახლი, სადაც შეხვდა ქართველ კინემატოგრაფისტებს; იყო გამოფენაზე „ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში“, საკოლმეურნეო ბაზარში, ჩაის სახლში, „საქაშნიკეში“; ეწვია სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ზ. წერეთლის სახელოსნოს, ახალგაზრდა მხატვართა კლუბ „ფიროსმანს“; დაესწრო წირვას საკათედრო ეკლესიაში „სიონში“, ესაუბრა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს; ქ. მცხეთაში დაათვალიერა კულტურის ძეგლები „ჯვარი“ და „სვეტიცხოველი“, ესტუმრა სადილად ადგილობრივ მკვიდრს.

10 იანვარს სენატორი უ. ბრედლი საქართველოდან გაემგზავრა.